საქართველოს სახალხო დამცველი

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ

დოკუმენტი მომზადებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის საფუძველზე და წარმოადგენს „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“

სარჩევი

შესავალი **3**

1. ქალთა თანასწორუფლებიანობა **4**

1.1. სექსუალური შევიწროება 4

1.2. სპორტსმენი ქალების თანასწორუფლებიანობა 7

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები **7**

2.1. ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა 8

2.2. უსინათლო პირთა წინაშე არსებული გამოწვევები 10

3. არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა წინაშე არსებული სისტემური გამოწვევები **11**

4. ლგბტ+ თემის წევრების თანასწორუფლებიანობა **13**

5. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში **15**

5.1. პლატფორმაზე დასაქმებული პირების დისკრიმინაცია 16

5.2. პროფესიული კავშირის წევრობის და განსხვავებული შეხედულების ნიშნით დისკრიმინაცია 17

5.3. ასაკი, როგორც შრომითი ურთიერთობის ხელშემშლელი ფაქტორი 18

6. დისკრიმინაციული მოპყრობა სერვისისა და მომსახურებების სფეროში **19**

6.1. სამედიცინო სფერო 19

6.2. განათლების სფერო 20

7. დისკრიმინაციის წახალისება **21**

8. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება **23**

9. თანასწორობის უფლების დაცვის მიმართულებით სახალხო დამცველის საქმიანობა **26**

9.1. ინდივიდუალური საქმეების შესწავლა 26

9.2. საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობა 28

დასკვნა **29**

რეკომენდაციები **30**

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველი, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“[1] საქართველოს კანონის შესაბამისად, წელიწადში ერთხელ შეიმუშავებს და აქვეყნებს სპეციალურ ანგარიშს ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილების და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ.

წინამდებარე, რიგით მე-9 სპეციალური ანგარიში მოიცავს 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. მასში მიმოხილულია საქართველოში თანასწორობის უფლების დაცვის მდგომარეობა, ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ თანასწორობის უფლების დაცვის მიზნით გაწეული სამუშაო და ინფორმაცია სახალხო დამცველის გადაწყვეტილებების შესრულების შესახებ.

2023 წელს თანასწორობის დაცვის ხელშესაწყობად აპარატმა ბევრი მიმართულებით იმუშავა, განხილული საკითხების თემატიკა აერთიანებდა: გენდერული თანასწორობის დაცვის, შრომით სამართლებრივ და მომსახურების გაწევის სფეროებში დისკრიმინაციის დაუშვებლობის, შეზღუდული შესაძლებლობის პირთა, ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის, სიძულვილის ენის და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებებთან ბრძოლის საკითხებს.

აპარატის მრავალი მიმართულებით საქმიანობის მიუხედავად, უკანასკნელ წლებში თანასწორობის უფლების დაცვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ცალკეული დაუცველი ჯგუფების უფლებების უგულებელყოფა, რაც გასულ წელს იმაშიც გამოვლინდა, რომ საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების ეროვნული სტრატეგია, რომელშიც ლგბტ+ ადამიანები არ არიან მოხსენიებულნი. სამწუხაროა, რომ ამ ჯგუფის უფლებების დაცვის კონკრეტული აქტივობები, მიუხედავად სახალხო დამცველის რეკომენდაციებისა, არც სამოქმედო გეგმაშია ასახული.

2023 წლის 8 ივლისს, ლგბტ+ თემმა ასევე ვერ შეძლო ლისის ტერიტორიაზე დახურული ღონისძიების ჩატარება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გადაწყვეტილებების მიღების და მითითებების მიუხედავად, სახელმწიფოს არც ქმედითი ნაბიჯები გადაუდგამს და არც თანასწორობის მხარდამჭერი განცხადებები გაკეთებულა. პირიქით, საჯარო პირების მხრიდან კვლავ ვხვდებით დისკრიმინაციის წამახალისებელ გამონათქვამებს.[2]

თანასწორობის მიმართულებით ქვეყანაში არსებული გამოწვევების დასაძლევად, მნიშვნელოვანია ძალისხმევის გაწევა ცნობიერების ასამაღლებლად. სახალხო დამცველმა ამ მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი აქტივობები განახორციელა. მათ შორისაა თანასწორობის შესახებ ელექტრონული კურსის მომზადება, რომელიც ძირითადად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლების საჭიროებებზეა მორგებული, თუმცა ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ასევე, სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების თაობაზე სამთვიანი

[1] მე-7 მუხლის პირველი პუნქტი.
[2] დამატებით იხ. მე-7 თავი.

საინფორმაციო კამპანია, რომლის მთავარი მიზანი, სექსუალური შევიწროების შესახებ საზოგადოების ცოდნისა და ინფორმირებულობის ამაღლებაა, თუ როგორ დაიცვან საკუთარი უფლებები სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების შემთხვევაში.

1. ქალთა თანასწორუფლებიანობა

ქალთა უფლებების გაძლიერებისკენ, როგორც საკანონმდებლო გარანტიების შექმნის, ისე ცნობიერების ამაღლების კუთხით, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა და თანასწორუფლებიანობის მიღწევა კვლავ სერიოზული გამოწვევაა. 2023 წელს, ქალები კვლავ მომართავდნენ სახალხო დამცველის აპარატს სექსუალური შევიწროების ფაქტების შესახებ. საყურადღებოა, რომ მიმდინარე საანგარიშო წელს სახალხო დამცველის აპარატმა პირველად შეისწავლა აკადემიურ სივრცეში სექსუალური შევიწროების საქმეები. ამასთანავე, კვლავ პრობლემური იყო პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართული ქალების მიმართ სექსიზმი და სქესის ნიშნით ექსპლიციტურად დამამცირებელი ენის გამოყენება. სახალხო დამცველი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ჯანსაღი პოლიტიკური და საზოგადოებრივი გარემოსთვის უმნიშვნელოვანესია, საჯარო სივრცე თავისუფალი იყოს მტრული გარემოსგან და არ ისახავდეს მიზნად ქალების დამცირებას, შეურაცხყოფას და მათ მიმართ მუქარას.

ქალთა თანასწორუფლებიანობაზე საუბრისას მნიშვნელოვანია სპორტსმენი ქალების წინაშე არსებული გამოწვევებიც, რაზეც სახალხო დამცველმა გასულ წლებში დაიწყო მუშაობა.[3] ამ მხრივ, მისასალმებელია, რომ 2023 წელს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გაიზიარა სახალხო დამცველის რეკომენდაცია[4] და შედეგად, შესაძლებელი გახდა ქალი ფეხბურთელების სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა, რაც თანასწორუფლებიანობის მიღწევის პროცესში მნიშვნელოვანი პოზიტიური ნაბიჯია.

1.1. სექსუალური შევიწროება

2023 წლის მარტში, სოციალური ქსელით, სხვადასხვა ქალმა გაავრცელა ინფორმაცია ერთ-ერთი მედიის ხელმძღვანელის მიერ ჩადენილ სავარაუდო სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით. საჯარო სივრცეში გავრცელებული სექსუალური შევიწროების საპასუხოდ, სახალხო დამცველმა საჯარო განცხადება გამოაქვეყნა. სახალხო დამცველმა სავარაუდო მსხვერპლებს თანადგომა გამოუცხადა და მათი ინდივიდუალური საქმეების შესწავლის მზადყოფნა გამოთქვა. სახალხო დამცველმა ასევე აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი

[3] დამატებით იხ. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2022 წლის სპეციალური ანგარიში გვ. 6-7.
[4] დამატებით იხ. https://rb.gy/8xa2mo

შემთხვევა, როდესაც საზოგადოების და პოლიტიკოსების ნაწილი მხარდაჭერას სავარაუდო შემავიწროებელს უცხადებს, ხოლო აგრესიას სავარაუდო მსხვერპლებისადმი მიმართავს.[5]

საგულისხმოა, რომ ორმა ქალმა სახალხო დამცველის აპარატს მომართა და მათ საქმეებში სექსუალური შევიწროება დადგინდა.[6] ერთ საქმეში სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ განმცხადებლისთვის კარიერული წინსვლის წინაპირობად გარკვეულ ქცევაზე მითითება წარმოადგენს სექსუალური შევიწროების სახეს, რომელიც გულისხმობს მომსახურებას მომსახურების სანაცვლოდ (Quid Pro Quo). სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ სექსუალური ხასიათის ურთიერთობაზე მინიშნების მცდელობა და არჩევანის წინაშე დაყენება, პირადი და სამსახურებრივი ურთიერთობების შეთავსებაზე აქცენტირებით, სექსუალური შევიწროებაა. მეორე საქმეში კი აღნიშნა, რომ ადამიანის სხეულზე უნებართვო შეხება შეიცავს სექსუალური დატვირთვის ქცევას და ამგვარი ქმედება სცდება მხარეებს შორის არსებული დაშვებული ინტერაქციის ზღვარს. ასევე, სახალხო დამცველმა სექსიზმის კონტექსტში განიხილა მოპასუხის მიერ განმცხადებელთან საუბრისას გამოთქმული შეფასებები მისი გარეგნობის, სხეულისა თუ პიროვნული ენერგეტიკის შესახებ. სახალხო დამცველის განმარტებით, განმცხადებლისთვის რამდენჯერმე იმის მითითება, რომ მას მამაკაცის საწყისი აქვს და კრიტიკა იმის გამო, რომ მისი გარეგნობა არ შეესაბამება მოპასუხის წარმოდგენებს სექსუალობის შესახებ, სქესის ნიშნით ადამიანის შერცხვენა და სექსიზმის აშკარა გამოვლინებაა.

მიმდინარე წელს სახალხო დამცველი განცხადებებს იღებდა საგანმანათლებლო სფეროში მომხდარი სავარაუდო სექსუალური შევიწროების შესახებ. სახალხო დამცველმა ერთ საქმეში იმსჯელა[7] ხელმძღვანელის მხრიდან დასაქმებულთან ცეკვისა და ალკოჰოლური სასმელის მიღების საკითხზეც და განმარტა, რომ კატეგორიულად მიუღებელია, ხელმძღვანელმა საკუთარი დასაქმებული აიძულოს ალკოჰოლური სასმელი მოიხმაროს, მით უმეტეს, მიუღებელია, როცა სმა სამუშაო ადგილზე ნორმალიზებულია და განიხილება შრომის კულტურის ნაწილად. ხელმძღვანელი პირის მხრიდან დასაქმებულისთვის ალკოჰოლური სასმელის მიღების იძულება ზრდის რისკებს, რომ კონკრეტული ქმედება, შესაძლოა, გადაიზარდოს სექსუალურ შევიწროებაში ან/და სხვაგვარ სექსუალური ხასიათის ქმედებაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველმა შეაფასა არა მხოლოდ მოპასუხის ქცევა, არამედ უნივერსიტეტის პასუხისმგებლობაზეც იმსჯელა და პრობლემურად მიიჩნია სექსუალურ შევიწროებაზე მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა. ამას არ ითვალისწინებდა უნივერსიტეტის სექსუალური შევიწროების პრევენციის დოკუმენტი, რაც ეწინააღმდეგება საქმის განხილვის მსხვერპლზე ორიენტირებულ მიდგომებს. მნიშვნელოვანია, სავარაუდო მსხვერპლი ინფორმირებული იყოს საქმის გამოკვლევის ყველა პროცედურის და შესაძლო განვითარების შესახებ, აუცილებელია, მსხვერპლთან სათანადო კომუნიკაცია. ამდენად, მხარეებს წინასწარ უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობის თაობაზე.

[5] სახალხო დამცველის 2023 წლის 27 მარტის განცხადება https://rb.gy/tcihii
[6] დამატებით იხ. https://rb.gy/g3cpku ; https://rb.gy/2cvs3o
[7] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული საქმე №4543/23.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა რამდენიმე საქმე განიხილა, სადაც უცხოელი ქალები ტაქსის მძღოლების მხრიდან სექსუალური შევიწროების თაობაზე მიუთითებდნენ.[8] საქმის წარმოების ფარგლებში მიღებული ინფორმაციის თანახმად, მძღოლებს ანგარიში დაებლოკათ და ტაქსის პლატფორმაზე წვდომა შეეზღუდათ. ამგვარი საქმეები მნიშვნელოვანია, ვინაიდან წარმოაჩენს, რომ სექსუალური შევიწროების ადრესატად უცხო ქვეყნის მოქალაქეების არჩევა, ზოგიერთ შემთხვევაში, მსხვერპლების მხრიდან ენის არცოდნით თუ უფლების დაცვის სამართლებრივ მექანიზმებზე ნაკლები ინფორმირებულობით არის განპირობებული.

სახალხო დამცველის შეფასებით, მნიშვნელოვანია ტაქტის მძღოლების ცნობიერების ამაღლება სექსუალური შევიწროების საკითხებთან დაკავშირებით. ამ პროცესში ასევე არსებითია თავად ტაქსის კომპანიების პასუხისმგებლობის მნიშვნელობის გააზრებაც. კომპანიებმა გარკვეული პერიოდულობით უნდა უზრუნველყონ ტაქსის მძღოლებისთვის ინფორმაციის მიწოდება სექსუალური შევიწროების დაუშვებლობისა და მგზავრთა მხრიდან მსგავსი პრეტენზიის გამოხატვის შემთხვევაში სათანადო ღონისძიებების მყისიერად გატარების შესახებ.

სახალხო დამცველის აპარატმა ასევე განიხილა საქმე[9], რომელშიც განმცხადებელი შს სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან ჩადენილ სავარაუდო სექსუალურ შევიწროებაზე მიუთითებდა. მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებების არარსებობის გამო სახალხო დამცველმა სექსუალური შევიწროების ფაქტი ვერ დაადგინა, მოპასუხეს რიგი საკითხები განემარტა. კერძოდ, რომ მისი კომუნიკაციის ფორმა არსებულ ურთიერთობის კონტექსტს [სამართალწარმოების ფარგლებს] სცდებოდა და არ იყო დაკავშირებული სავარაუდო დანაშაულის მოკვლევასთან. საქართველოს სახალხო დამცველმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწოდა, კიდევ უფრო ინტენსიური გახადოს სამინისტროში დასაქმებული პირების გადამზადება სექსუალური შევიწროების საკითხებზე და მზადყოფნა გამოთქვა, დაეხმაროს სამინისტროს სექსუალური შევიწროების საკითხებზე ტრენინგების ჩატარებაში.

გარდა ამისა, სხვა საქმეში[10] განმცხადებელი მიუთითებდა, რომ საჯარო სივრცეში განიცადა სექსუალური შევიწროება, თუმცა შინაგან საქმეთა სამინისტროს არ შეუდგენია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი და, შესაბამისად, სათანადო რეაგირება არ გამოუჩენია. სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ საჯარო სივრცეში მომხდარი სექსუალური შევიწროების ფაქტებზე აუცილებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან რეაგირება იყოს სწრაფი, სერიოზული და ეფექტიანი. დასახელებული საქმე ასევე წარმოაჩენს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის გაძლიერების საჭიროებას, სექსუალური შევიწროების საქმეებთან დაკავშირებით.

[8] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული საქმეები №4642/23; №1917/23.

[9] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული საქმე №12116/22.

[10] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული საქმე №7808/23.

1.2. სპორტსმენი ქალების თანასწორუფლებიანობა

2023 წლის 15 მარტს საქართველოს სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადებით მიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტებს,[11] ვინაიდან ქალი პროფესიონალებისთვის ვარჯიშის/თამაშის დროს მიღებული ტრავმების მკურნალობის დაფინანსების საკითხი არასათანადოდ იყო მოწესრიგებული, რაც კიდევ უფრო ამძიმებდა სპორტში ჩართული ქალების არათანასწორ საწყის მდგომარეობას. სახალხო დამცველმა საგანგებოდ ისაუბრა ქალთა სპორტთან დაკავშირებულ ზოგად გამოწვევებზე, სპორტში ჩართული ქალების ჯანმრთელობისა და შრომის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების თანასწორობის პრიზმით განხილვის მნიშვნელობასა და სპორტული ფედერაციების შესაბამის ვალდებულებებზე.

შედეგად, სახალხო დამცველმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტებს მოუწოდა, გამოიკვლიონ ქალთა კლუბებში ტრავმების მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების კუთხით არსებული მდგომარეობა, განიხილონ მკურნალობის დაფინანსებისთვის ეფექტიანი მექანიზმის დანერგვის საკითხი და გაზარდონ ძალისხმევა სპორტში ჩართული ქალების ჯანმრთელობის დაცვისკენ მიმართული ფინანსური რესურსის მოსაძიებლად. კიდევ ერთხელ, სახალხო დამცველის აპარატი მიესალმება ფეხბურთის ფედერაციისთვის გაცემული ზოგადი წინადადების გათვალისწინებას, რომლის თანახმადაც, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და სადაზღვევო კომპანია „პრაიმს“ შორის გაფორმებული პარტნიორობის ხელშეკრულების ფარგლებში, 420 ქალი ფეხბურთელი სპორტულ სამედიცინო დაზღვევას მიიღებს. სახალხო დამცველი დადებითად აფასებს ქალი ფეხბურთელების სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფას და მიიჩნევს, რომ მათი ჯანმრთელობის დაცვა ქალი სპორტსმენების თანასწორუფლებიანობის მიღწევის გზაზე წინგადადგმული ნაბიჯია.

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

ბოლო წლებში საკანონმდებლო დონეზე გადადგმული არაერთი დადებითი ნაბიჯის მიუხედავად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, მათ შორის, უსინათლო პირთათვის, ამ დრომდე სერიოზულ გამოწვევად რჩება წვდომა ფიზიკურ გარემოზე, ინფორმაციაზე, კომუნიკაციის საშუალებებზე, საბანკო თუ სხვა მომსახურებებზე. პრობლემურია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის ინკლუზიური და მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული განათლების უზრუნველყოფაც. ამ დრომდე არ დამტკიცებულა მისაწვდომობის ეროვნული გეგმა, რაც მნიშვნელოვნად ართულებს არსებულ შენობა/ნაგებობებსა და ინფრასტრუქტურაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა

[11] სახალხო დამცველის 2023 წლის 15 მარტის ზოგადი წინადადება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და ფრენბურთის ეროვნულ ფედერაციას https://rb.gy/375omt

მისაწვდომობის დროულ უზრუნველყოფას. საგულისხმოა ისიც, რომ უკვე დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით („მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“) განსაზღვრული სტანდარტები პრაქტიკაში ეფექტიანად არ სრულდება.

მნიშვნელოვანია შეფასების სამედიცინო მოდელის დროულად ჩანაცვლება ბიოფსიქოსოციალური მოდელით, რის შესახებაც სახალხო დამცველმა, გასულ წელს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ზოგადი წინადადებით მიმართა.[12]

2.1. ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა

ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით აღებული პასუხისმგებლობის მიუხედავად, კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა და ინკლუზიური გარემოს შექმნა. პრაქტიკული თვალსაზრისით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის, უსინათლოები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები და სამედიცინო სერვისის მიმღები პირები, საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, კვლავ უამრავ გამოწვევას აწყდებიან. მსგავსი პრობლემა გამოიკვეთა პენიტენციურ დაწესებულებებშიც.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების შემთხვევაში, ფიზიკური გარემოს ადეკვატურად უზრუნველყოფის თვალსაზრისით, გამოწვევად რჩება სკოლების მოწყობა „უნივერსალური დიზაინის“ სისტემით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ცალკეულ შემთხვევებში, ბავშვების მინიმალური საჭიროებები ძირითადად დაკმაყოფილებულია, მაგრამ ეს არანაირად არ შეესაბამება მისაწვდომი გარემოს მოთხოვნებს.[13] ეს მნიშვნელოვნად აფერხებს განათლების უფლების სრულყოფილად რეალიზებას, რაც, ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით, ავტონომიურად, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა ქვეყანაში.

ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის პრობლემასთან ერთად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მიმართებით, ასევე გასათვალისწინებელია სკოლის პერსონალის სათანადო ინფორმაციით აღჭურვის არადამაკმაყოფილებელი დონე, რომელიც მოსწავლეების მიმართ ხშირად დისკრიმინაციულია. ზოგიერთ შემთხვევაში, მშობლებს თავად უწევთ სკოლის პერსონალისა და მასწავლებლებისათვის ბავშვის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება. ხშირად კი, ამ პროცესებში არ არის ჩართული სპეციალური მასწავლებელი ან/და ფსიქოლოგი, რომელიც პროცესების სწორად და ჯანსაღად განვითარებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მსგავს შემთხვევებში, სკოლამ უნდა უზრუნველყოს ბავშვის უფლებების ადვოკატირება, ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, შესაბამისი

[12] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 25 ოქტომბრის ზოგადი წინადადება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/41IDuQA

[13] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული საქმე №12572/22.

ღონისძიებების დაგეგმვა პასუხისმგებელ უწყებებთან აქტიური თანამშრომლობის გზით, რათა მოსწავლეებს თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი განათლებაზე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის კვლავ გამოწვევად რჩება ფიზიკური წვდომა სამედიცინო დაწესებულებებზე. ქვეყნის მასშტაბით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის უზრუნველყოფილი არ არის ეფექტიანი წვდომა ჯანმრთელობის დაცვის არსებულ სერვისებზე, რაც ასახულია შესაბამის მარეგულირებელ დოკუმენტებში.

ფიზიკურ გარემოზე მისაწვდომობისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების პრობლემა გამოვლინდა პენიტენციურ დაწესებულებაშიც. კერძოდ, ეტლით მოსარგებლე პირმა, ვერ შეძლო პატიმრობაში მყოფი შვილის მონახულება, ვინაიდან პენიტენციურ დაწესებულებაში გარემო არ იყო უზრუნველყოფილი ეტლით მოსარგებლეთათვის, ხოლო, პერსონალური დამხმარის თანხლების შესაძლებლობის სანაცვლოდ, მას ღირსების შემლახველი და საფრთხის შემცველი გადაადგილება შესთავაზეს. სახალხო დამცველმა საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება წარუდგინა.[14]

გარდა ზემოაღნიშნულისა, საგულისხმოა, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა აუზების მისაწვდომობის შესახებ ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებზე იმსჯელა და შესაბამის ადრესატებს სათანადო ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდა[15], ვინაიდან, საკითხი შეეხებოდა მისაწვდომი გარემოს უზრუნველყოფას ნაკლებად შესწავლილ და მეტად სპეციფიკურ სივრცეში, როგორიც აუზებია. ამავე დროს, არსებითია, რომ რიგი მარეგულირებელი დოკუმენტები საქართველოს სახელმწიფოს ავალდებულებს, მიიღოს ზომები[16], რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეეძლოთ დამოუკიდებლად ცხოვრება და მონაწილეობის მიღება ცხოვრების ყველა სფეროში.

---

[14] სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა საპატიმრო დაწესებულებების მისაწვდომობის, პაემნის უფლებისა და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების და გონივრული მისადაგების ვალდებულების კუთხით არსებულ ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებზე. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://rb.gy/0d1ahg

[15] სახალხო დამცველმა მოპასუხეს მოუწოდა, თავისი საქმიანობა თანასწორობის პრინციპების დაცვითა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების პატივისცემით წარმართოს და არ დაუშვას დისკრიმინაციის წახალისება. ასევე, სახალხო დამცველმა მოპასუხეს მიმართა, გაითვალისწინოს მისაწვდომობის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები/ვალდებულებები მის მიერ საზოგადოებისთვის შეთავაზებული ***საჯარო სერვისის მიწოდებისას.*** ასევე, უზრუნველყოს კომპანიაში დასაქმებული კადრებისთვის სამუშაო სტანდარტების/ინსტრუქციების შემუშავება, კადრების გადამზადება და გონივრული მისადაგების უზრუნველყოფისთვის, შესაძლებლობის ფარგლებში, შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა. 2023 წლის 13 ნოემბერი.

[16] ეს მოიცავს ვალდებულებას, რომ უზრუნველყოფილი იყოს შშმ პირთა წვდომა ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტზე, ინფორმაციასა და კომუნიკაციის საშუალებებზე. მისაწვდომობა ასევე მითითებულია SDG-ებში, რომელთა განხორციელებაც საქართველომ ვალდებულებად აიღო; კერძოდ, მე-11 მიზანი, რომელიც მიზნად ისახავს დასახლებების მისაწვდომობის გაუმჯობესებას. იხ. მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) და შეზღუდული შესაძლებლობები. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://rb.gy/70hrxt

2.2. უსინათლო პირთა წინაშე არსებული გამოწვევები

მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნდა შეეძლოთ დამოუკიდებლად ცხოვრება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში სრულყოფილი მონაწილეობა, სამწუხაროდ, მიუწვდომელი გარემოსა და ინდივიდუალური საჭიროებების გაუთვალისწინებლობის გამო, უსინათლო პირები ფუნდამენტური უფლებებითა და თავისუფლებებით სრულფასოვნად სარგებლობას ვერ ახერხებენ.

გასულ საანგარიშო წელს, უსინათლო პირებისთვის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის პრობლემები გამოიკვეთა ახალრეაბილიტირებული ქეთევან წამებულის გამზირის უნივერსალური დიზაინით[17] მოწყობის მიმართულებით,[18] მიმდინარე წელს კი, ხმოვანსიგნალიანი გადასასვლელებით სარგებლობის კონტექსტში. ხმოვანი სიგნალით უკმაყოფილო მოსახლეობის პრეტენზიების გამო თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ შუქნიშნებისთვის საღამოს 22:00-საათიდან ხმის დაწევის, ხოლო 23:30-საათიდან 07:00-საათამდე ხმის გათიშვის გადაწყვეტილება მიიღო, რამაც, ფაქტობრივად, ღამის საათებში, უსინათლო პირების დამოუკიდებლად გადაადგილების შესაძლებლობა გამორიცხა.[19] საყურადღებოა, რომ ფიზიკურ გარემოზე მისაწვდომობის პრობლემა მხოლოდ უსინათლო პირების გადაადგილების თავისუფლებას კი არ არღვევს, არამედ ბარიერს ქმნის სოციალური ინკლუზიის მიმართულებით.

დამატებით, მწვავე პრობლემად იკვეთება უსინათლო პირთა საჭიროებების, მათ შორის, დამხმარე საშუალებების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონე და სტერეოტიპული განწყობები. ფეხბურთში 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის მატჩის მიმდინარეობისას, უსინათლო პირებს დამხმარე საშუალების - თეთრი ხელჯოხის სტადიონზე შეტანის შესაძლებლობა არ მიეცათ. მატჩის დასრულების შემდეგ, მათ ხელჯოხები ხესთან დადებული დახვდათ. საგულისხმოა, რომ თეთრი ხელჯოხი უსინათლო პირების დამოუკიდებლად გადაადგილებისთვის მნიშვნელოვანი ატრიბუტია, რომლის გარეშეც, მიუწვდომელი ფიზიკური გარემოს პირობებში, ისინი თანმხლებ პირებზე სრულად დამოკიდებულები ხდებიან.

---

[17] უნივერსალური დიზაინი პროდუქტის, გარემოს, პროგრამებისა და მომსახურების ისეთ დიზაინს გულისხმობს, რომელიც ყველა ადამიანს მისი მაქსიმალური გამოყენების საშუალებას აძლევს, ადაპტაციისა და სპეციალური დიზაინის გამოყენების აუცილებლობის გარეშე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 2, საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ მუხლი 2, პუნქტი „დ“.

[18] განცხადების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ თბილისში ახლად გახსნილი ქეთევან წამებულის გამზირი არ აკმაყოფილებდა უნივერსალური დიზაინის მოთხოვნებს. კერძოდ, მოწყობილი არ იყო ტაქტილური ბილიკები, გადასასვლელები, მათ შორის, რელიეფურად არ იყო აღნიშნული ავტობუსის გაჩერებები. პრობლემური იყო ხმოვანი შუქნიშნების ფუნქციონირების საკითხიც.

[19] სახალხო დამცველმა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მოუწოდა უზრუნველყოს ამ პრობლემის იმგვარად მოგვარება, რომ, ერთი მხრივ, უზრუნველყოს საზოგადოების წევრებს შორის ჰარმონიული თანაარსებობა და, მეორე მხრივ, დაიცვას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფუნდამენტური უფლებების რეალიზება, მათ შორის, შესაძლებელი გახადოს უსინათლო პირებისთვის გადასასვლელების მისაწვდომობა დღის/ღამის ნებისმიერ პერიოდში.

3. არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა წინაშე არსებული სისტემური გამოწვევები

განათლების სისტემაში გატარებული რეფორმები სათანადოდ ვერ პასუხობს ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარ პრობლემებს, რის შედეგადაც, არაქართულენოვანი სკოლები/სექტორები კვლავ მთელი რიგი პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგანან. განსაკუთრებით აქტუალურად იკვეთება პრაქტიკოსი მასწავლებლების მიერ, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ ფარგლებში, *უფროსი, წამყვანი და მენტორი* მასწავლებლის სტატუსის მოპოვების სირთულე.[20] ეს საკითხი კომპლექსური ხასიათისაა და არაერთი მიზეზით არის გამოწვეული, მათ შორისაა: სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონე, უფროსი თაობის მიერ ენის შესწავლის სირთულე და მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული მეთოდებისა და წამახალისებელი აქტივობების სიმწირე, უფროსი თაობის ადამიანებში ქართული ენის შესწავლის ნაკლები მოტივაცია, სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამების არასაკმარისი გეოგრაფიული არეალი და სხვ. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლებს პროფესიული კომპეტენციების დადასტურებისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობა დაგვიანებით მიეცათ, რამაც ამ სკოლის/სექტორების მასწავლებლები, ქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებთან შედარებით, არათანაბარ პირობებში ჩააყენა.

უნდა აღინიშნოს, რომ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის“ თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 მაისის №241 დადგენილების შესაბამისად[21], სტატუსის მისაღებად, როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი სკოლის/სექტორის მასწავლებლებისთვის, გამოცდის ჩაბარებასთან ერთად, სავალდებულო იყო სხვადასხვა განსაზღვრული აქტივობით კრედიტქულების დაგროვება. მნიშვნელოვანია, რომ სქემაში 2020 წლის 26 ივნისს შესული ცვლილებების მიხედვით[22], პრაქტიკოს მასწავლებლებს სტატუსის ცვლილებისთვის ვადად განესაზღვრათ 2020 წლის ბოლო, ხოლო არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებს - ვადა 2023 წლამდე მიეცათ. თუმცა, ამ პერიოდის განმავლობაში, არაქართულენოვან სკოლებში არსებული გამოწვევების აღმოუფხვრელობის, ასევე, გამოცდების სახელმწიფო ენაზე ჩატარებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, 2023 წლის 12 ივნისს, სქემაში კვლავ შევიდა რიგი ცვლილებები.[23] მათ შორის, სტატუსის მიღების ვადა 2025-2026 სასწავლო წლის ბოლომდე გახანგრძლივდა. ამდენად, არაქართულენოვანი სკოლის პრაქტიკოსი

[20] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული საქმე №5852/23; 2024 წლის 17 იანვრის ზოგადი წინადადება არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლების წინაშე არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით https://rb.gy/e61hgo

[21] „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №241, 2019 წლის 23 მაისი. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/isGPQ

[22] „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება №390, 2020 წლის 26 ივნისი. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/nyBSY

[23] „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილება №221, 2023 წლის 12 ივნისი. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/dim46

მასწავლებელი 2025-2026 სასწავლო წლის ბოლომდე ინარჩუნებს სტატუსს, ხოლო საგნების მასწავლებლები - 2023-2024 წლამდე.

შესაბამისად, სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი ან/და, ცალკეულ შემთხვევებში, არადამაკმაყოფილებელი დონე, მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა არაქართულენოვანი სკოლის/სექტორის მასწავლებლებისთვის. საყურადღებოა, რომ ყველაზე მეტი პრაქტიკოსის სტატუსის მქონე მასწავლებელი ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთშია, რაც ამ რეგიონებში არაქართულენოვანი სკოლებისა და სექტორების დიდი კონცენტრაციით აიხსნება. საინტერესოა, რომ არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლები თავიდანვე აღნიშნავდნენ, რომ განსაზღვრულ ვადებში ვერ შეძლებდნენ გამოცდის ჩაბარებას. მომდევნო 3 წლის განმავლობაში, მაღალი ალბათობით, ისინი მართლაც ვერ შეძლებენ სახელმწიფო ენის საკმარისად/სათანადოდ დაუფლებას და სახელმწიფო ენის ცოდნის დოკუმენტის წარმოდგენას, მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლებელია, მათი საგნობრივი კომპეტენცია მართლაც მაღალი იყოს. შესაბამისად, ეს პრაქტიკოსი მასწავლებლების კატეგორიიდან მათ ამორიცხვას და მასწავლებლის სტატუსის ჩამორთმევას გამოიწვევს.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა სტატუსების შეცვლა და სტატუსის ამაღლება დაკავშირებულია სახელფასო დანამატის ზრდასთან. საგულისხმოა, რომ სტატუსის დანამატი, 2015 წლიდან დღემდე, უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებლებისთვის თითქმის გახუთმაგდა. სახელფასო დანამატის სისტემა კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასწავლებლის მოტივაციაზე, ჩაერთოს პროფესიული განვითარების სქემაში. არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლები, ამ პრობლემების/გამოწვევების გამო, ვერც სტატუსის შეცვლასთან მიბმული სახელფასო დანამატებით სარგებლობენ. მასწავლებლების მოტივაციაზე ზრუნვა კი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არაქართულენოვან სკოლებში/სექტორებში კვალიფიციური კადრების დეფიციტის ფონზე, რაც მიუთითებს კადრების მოძიებისა და წახალისებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე.

სახალხო დამცველმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოუწოდა, სპეციფიკური საჭიროებების გამოვლენის მიზნით და მათზე საპასუხოდ, განიხილოს პროფესიული განვითარების სქემა და შესაბამის უწყებებთან კოორდინირებული თანამშრომლობით, დაგეგმოს აქტივობები, რომლებიც დროულად და ეფექტიანად უზრუნველყოფს არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლებისთვის სტატუსების ცვლის შესაძლებლობას; ასევე, სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით, გააფართოოს პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი, ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში და დანერგოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი უფროსი თაობის საჭიროებებზე მორგებული სწავლების კომპონენტები.

4. ლგბტ+ თემის წევრების თანასწორუფლებიანობა

გასული წლების მსგავსად, ლგბტ+ ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვან/სერიოზულ გამოწვევად რჩება. ლგბტ+ თემის წევრები კვლავ ძალადობის, დისკრიმინაციისა და შევიწროების მსხვერპლები არიან და ეს საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური დამოკიდებულებით, სიძულვილის მოტივით ჩადენილი ძალადობრივი ქმედებებით და სხვა სახის დისკრიმინაციული დამოკიდებულებებით არის გამოწვეული.

ულტრამემარჯვენე იდეოლოგიის მატარებელი პირები, თავიანთი მოქმედებებითა და განცხადებებით, ხელს უწყობენ ჰომოფობიური განწყობების გავრცელებას, დისკრიმინაციის წახალისებას და, ამავე დროს, ჩადიან ქმედებებს, რომლებიც, ხშირად, ლგბტ+ ადამიანების უფლებების მძიმე დარღვევაში გამოიხატება.

2023 წელს, ლგბტ+ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა. მაგალითად, საქართველოს მთავრობამ მიიღო 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია, რომელმაც სხვა სოციალური ჯგუფებისგან განსხვავებით, ლგბტ+ ადამიანები და მათი უფლებრივი საკითხები/საჭიროებები საერთოდ არ გაითვალისწინა.[24] იგივე მიდგომაა გატარებული, მთავრობის მიერ დამტკიცებულ 2024-2026 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში.[25]

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სახალხო დამცველმა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, იდენტობის ჯგუფის საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მიმდინარეობის შესახებ კომუნიკაცია წარუდგინა. მასში განხილულია: ჰომოფობიური ხასიათის განცხადებები, 2023 წლის 8 ივლისს პრაიდ ფესტივალის ძალადობრივი ჩაშლა, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე (მათ შორის, 2021 წლის 5 ივლისის მოვლენებზე) მიმდინარე გამოძიებისა და სამართალწარმოების ხარვეზები, სტატისტიკის წარმოება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე და ლგბტ+ თემის უგულებელყოფა ადამიანის უფლებათა დაცვის ახალ ეროვნულ სტრატეგიაში.[26] ლგბტ+ პირთა და მათი მხარდამჭერების მიერ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა არსებითად არის გართულებული. ეს დაკავშირებულია ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხრიდან არა მხოლოდ საჯარო სივრცის სრულად პრივატიზების მცდელობასთან, არამედ დახურული ღონისძიების ფარგლებშიც, კერძო საკუთრების ტერიტორიაზე, ამ უფლებების რეალიზებისთვის

[24] საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2022–2030 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/48qPJDv

[25] იხ. 2023 წლის 28 დეკემბრის საქართველოს მთავრობის დადგენილება №528 „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/6053557?publication=0

[26] დამატებით იხ. https://rb.gy/s4rzmj

ძალადობრივი ქმედებებით ხელშეშლასთანაც, რასაც ადასტურებს 2023 წლის 8 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ ფესტივალის ირგვლივ განვითარებული მოვლენები.

საყურადღებოა, რომ „თბილისი პრაიდის“ ღონისძიების გამართვამდე შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ცნობილი იყო იმავე ადგილზე ულტრამემარჯვენე ძალადობრივი ჯგუფების მიერ დაგეგმილი კონტრაქციის შესახებ, რომლის მიზანიც „ლისი ვანდერლენდის“ ტერიტორიაზე მიმდინარე დახურული ღონისძიების ჩაშლა იყო. შსს სამინისტროს წარმომადგენლები, ამ ფაქტის მიუხედავად, თავდაპირველად კვირეულის ორგანიზატორებს დაცვის გარანტიას აძლევდნენ. თუმცა მოგვიანებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტებით, მათ აცნობეს ორგანიზატორებს, რომ ვინაიდან კონტრაქციის მონაწილეების მოწოდებები და ამასთან ერთად, რეგიონებიდან მობილიზაცია, ძალიან იყო გააქტიურებული, კონტრაქციის მონაწილეთა დიდ რაოდენობას, შესაძლოა, სამინისტროს მიერ წინასწარ შედგენილი გეგმის შესრულება მნიშვნელოვნად შეეფერხებინა.[27] ასევე, სამინისტრო მიუთითებს, რომ კონტრაქციის მონაწილეთა გაზრდილი რაოდენობის ფონზე (მონაწილეთა რაოდენობა 8000-მდე გაიზარდა), სამინისტრომ უზრუნველყო საპოლიციო ძალების მაქსიმალური რაოდენობის - დაახლოებით 3000-მდე პოლიციელის მობილიზება. კერძოდ, გამოყენებულ იქნა აღმოსავლეთ საქართველოში დისლოცირებული, მასების მართვის გამოცდილებისა და უფლებამოსილების მქონე რესურსი, ისე, რომ ხელი არ შეშლოდა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებას. ეს საპოლიციო რესურსი „ლისი ვანდერლენდის“ პერიმეტრსა და მისასვლელ გზებს ცოცხალი ძალით (კორდონებით) იცავდა.[28] ამდენად, სამინისტროს მითითებით, მან უზრუნველყო საპოლიციო ძალების მაქსიმალური რაოდენობის მობილიზება, რათა „თბილისი პრაიდის“ მონაწილეებს ჰქონოდათ შესაძლებლობა ესარგებლათ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით და ამასთანავე, მათი უსაფრთხოება ყოფილიყო დაცული. თუმცა, გაშლილი ტერიტორიისა და აქციის მონაწილეთა რაოდენობის ზრდის გამო, ვერ მოხერხდა მათი შეჩერება. ამასთანავე, სამინისტროს განმარტებით, პოლიციის მიერ გზის გადაკეტვის მცდელობების საპასუხოდ, აქციის მონაწილეები მინდვრების გავლით ახერხებდნენ გადაადგილებას და ფესტივალის ტერიტორიასთან მიახლოებას.[29]

რაც შეეხება სპეციალური საშუალებების გამოყენებას, სამინისტროს განმარტებით, მათ გამოყენებას აქვს კონკრეტული, როგორც სამართლებრივი, ისე ტაქტიკური საფუძვლები. სამინისტროს პასუხის თანახმად[30], მოცემულ ტერიტორიაზე და აქციის მონაწილეთა ამგვარი გადაადგილების პირობებში, წყლის ჭავლის, გაზის და სხვა სპეციალური საშუალებების

[27] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 15 თებერვლის MIA 3 24 00466268 პასუხი.

[28] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 15 თებერვლის MIA 3 24 00466268 პასუხი.

[29] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 11 აგვისტოს MIA 2 23 02343316 პასუხის თანახმად, კონტრაქციის მონაწილეთა რაოდენობა იყო მოსალოდნელზე მეტი - დაახლოებით 8000-ზე მეტი ადამიანი. ადგილზე მობილიზებული იყო 3 000-მდე პოლიციელი, შესაბამისი აღჭურვილობითა და ტექნიკით. პოლიციამ დასკვნითი ღონისძიების მიმდებარე ტერიტორიაზე განათავსა სპეციალური კორდონები. ამასთანავე, ფიზიკური საპოლიციო ძალით მაქსიმალურად იცავდნენ ღონისძიების ჩატარების ადგილს და ზღუდავდნენ კონტრაქციის მონაწილეების გადაადგილებას.

[30] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 15 თებერვლის MIA 3 24 00466268 პასუხი.

გამოყენება უშედეგო იქნებოდა და აქციის მონაწილეებს ხანგრძლივი დროით ვერ შეაჩერებდა.[31] ამასთანავე, არსებობდა მაღალი ალბათობა, კონტრაქციის მონაწილეებს სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები მიეღოთ, ვინაიდან კონტრაქციაში არაერთი ხანდაზმული და მცირეწლოვანი მონაწილეობდა. სადავო იქნებოდა გამოყენებული ძალის პროპორციულობის საკითხიც.

საგულისხმოა, რომ ინფორმაციის ნაწილი, კერძოდ, ისეთი საკითხები, როგორიცაა სპეციალური ღონისძიების განხორციელების ადგილზე მყოფი ხელმძღვანელი პირების მონაცემები; სპეციალური ღონისძიების პროცესში მონაწილე სამინისტროს შესაბამისი დანაყოფები (მათი რაოდენობა), მათი ფუნქციები და მოქმედებათა თანამიმდევრობა; სპეციალური ღონისძიების ჩატარებისთვის სამინისტროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი/პირები; პირადი შემადგენლობის რაოდენობა; დანაყოფების აღჭურვილობა და სხვ. - სახელმწიფო საიდუმლოებაა.

სახალხო დამცველის შეფასებით, 8 ივლისს განვითარებული მოვლენები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ლგბტ+ თემის დაცვა, ამ მასშტაბის ძალადობის და დისკრიმინაციის მხოლოდ საპოლიციო ძალების გამოყენებით შეჩერება შეუძლებელია და ხშირად - არასაკმარისიც. ამ გამოწვევის დასაძლევად საჭიროა კომპლექსური, დროში გაწერილი და სხვადასხვა მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების გატარება, სხვადასხვა უწყების და ფართო საზოგადოების ჩართულობით.

5. დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში

შრომით ურთიერთობაში სავარაუდო დისკრიმინაციის საქმეები იმ დავების კატეგორიას განეკუთვნება, რომლის შესახებაც მოქალაქეები ყველაზე ხშირად მოგვმართავენ. განმცხადებლები მიუთითებდნენ ისეთ ქმედებებზე, როგორიცაა: დისციპლინური ღონისძიებების გამოყენება, სამსახურებრივი საქმიანობიდან ჩამოშორება, ვიქტიმიზაცია, სამსახურიდან გათავისუფლება და სხვ. წინა წლების მსგავსად, განმცხადებლები დისკრიმინაციისგან დაცულ ნიშნად ძირითადად განსხვავებულ მოსაზრებასა და პროფკავშირულ საქმიანობაზე მიუთითებდნენ. ასევე, გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც განმცხადებლები მათი შრომითი უფლებების შეზღუდვას სახალხო დამცველის აპარატისთვის გარკვეული ინფორმაციის მოწოდებას უკავშირებდნენ.

მიმდინარე წელს სახალხო დამცველის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა სხვადასხვა სექტორში დასაქმებული პირების საპროტესტო გამოსვლები თუ გაფიცვები. სახალხო დამცველმა მოუწოდა დამსაქმებლებს, დასაქმებულების მხრიდან შრომის არსებით პირობებთან დაკავშირებით უკმაყოფილების გამოთქმის შემთხვევებში, მათთან აქტიური კომუნიკაცია იქონიონ, გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა კონსენსუსის მისაღწევად და თავი შეიკავონ ღირსების შემლახავი და

[31] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 11 აგვისტოს MIA 2 23 02343316 პასუხი: ფესტივალი იწყებოდა 8 ივლისს 16:00 საათზე და დასრულება იგეგმებოდა 9 ივლისს 09:00 საათზე, ჯამში სულ 20 საათი.

დისკრიმინაციული ქმედებებისგან. მით უმეტეს, არ მიმართონ ისეთ რადიკალურ ღონისძიებებს, როგორიც დასაქმებულებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტაა.[32]

დამატებით, ყურადსაღებია, რომ საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა ზოგადი წინადადება წარუდგინა შრომის ინსპექციის საბჭოს და ასევე, 2023 წელსაც იმსჯელა პლატფორმაზე დასაქმებული პირების დისკრიმინაციის შემთხვევებზე.

5.1. პლატფორმაზე დასაქმებული პირების დისკრიმინაცია

სახალხო დამცველმა პლატფორმის მეშვეობით მომუშავე პირების საქმეზე შრომით ურთიერთობაში დისკრიმინაცია პირველად „ბოლტის“ (Bolt Food) კურიერების მიმართ დაადგინა და საერთაშორისო ინსტიტუტებისა და სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოების მიერ შემუშავებული უახლესი სტანდარტებით იხელმძღვანელა. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ პლატფორმის მეშვეობით მომუშავე პირები კომპანიასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირები არიან და, შესაბამისად, შრომითი გარანტიებით სარგებლობის უფლება აქვთ. სახალხო დამცველის აპარატმა მის მიერ დადგენილი სამართლებრივი სტანდარტები გამოიყენა სხვა პლატფორმაზე დასაქმებული პირების შემთხვევაშიც.

2023 წლის 15 მარტს სახალხო დამცველმა შპს „გლოვო აფფ ჯორჯიას“ შრომით ურთიერთობაში პროფესიული კავშირის წევრობის გამო დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ რეკომენდაციით მიმართა და „გლოვოს“ საქმეშიც უფლების განსაზღვრის მის მიერ უკვე დადგენილი სტანდარტები ასახა.[33] „გლოვომ“ განმცხადებელს აპლიკაციაზე წვდომა შეუზღუდა, იმ მოტივით რომ კურიერების პრობლემებზე ხმამაღლა საუბრობდა და შესაბამის რეაგირებას მოითხოვდა. სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა კომპანიას, დაუყოვნებლივ აღედგინა განმცხადებლისთვის აპლიკაციაზე წვდომა. მისასალმებელია, რომ რეკომენდაციის მიღების შემდეგ, „გლოვომ“ დისკრიმინაციის მსხვერპლ კურიერს აპლიკაციაზე წვდომა აღუდგინა.

გარდა ამისა, მოგვიანებით, 2023 წლის 4 ივლისს, საქართველოს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით „ვოლტ ჯორჯიასაც“ მიმართა. კომპანიამ ორ კურიერს პრობლემების შესახებ საჯაროდ საუბრისა და სხვა საპროტესტო აქტივობების გამო, აპლიკაცია დაუბლოკა. ამასთანავე, სახალხო დამცველმა დისკრიმინაციულად შეაფასა „ვოლტ ჯორჯიას“ მიერ სხვა 142 კურიერისთვის გაგზავნილი სმს შეტყობინება, რომლითაც კომპანია მათ საპროტესტო აქტივობებში მონაწილეობისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა „ვოლტ ჯორჯიას“ მიმართა, დაუყოვნებლივ აღედგინა კურიერებისთვის აპლიკაციაზე წვდომა.[34]

სახალხო დამცველს, როგორც დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ მექანიზმს, სამივე პლატფორმაზე („ბოლტი“, „გლოვო“, „ვოლტი“) დასაქმებულ პირთა დისკრიმინაციის საქმეებზე აქვს ნამსჯელი და დადგენილი აქვს შესაბამისი სამართლებრივი სტანდარტები.

---

[32] დამატებით იხ. https://cutt.ly/twFAQ4jr

[33] სახალხო დამცველის 2023 წლის 15 მარტის რეკომენდაცია შპს „გლოვო აფფ ჯორჯიას“ https://rb.gy/b6i7gc

[34] სახალხო დამცველის 2023 წლის 4 ივლისის რეკომენდაცია შპს „ვოლტ ჯორჯიას“ https://shorturl.at/fgkzL

5.2. პროფესიული კავშირის წევრობის და განსხვავებული შეხედულების ნიშნით დისკრიმინაცია

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ საყურადღებოა აპარატის საქმიანობის ფარგლებში პროფკავშირული აქტივობების კუთხით გამოკვეთილი პრობლემური ტენდენციები, მისივე აზრით, მათი აღმოუფხვრელობა დასაქმების ადგილებზე იმგვარი გარემოს შექმნის/გაძლიერების რისკებს წარმოშობს, რომელმაც, შესაძლოა, შრომით ურთიერთობებში პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევები წაახალისოს.

მიმდინარე წელს სახალხო დამცველის აპარატში ერთდროულად რამდენიმე საქმისწარმოება მიმდინარეობდა, რომლებიც დამსაქმებელთა მხრიდან პროფესიული კავშირებისა და მათი წევრების უფლებების დარღვევისა და პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებს შეეხებოდა. სახალხო დამცველმა მოცემული საქმეები, საერთო მახასიათებლებისა და კოლექტიური შრომითი დავების მიმართულებით გამოკვეთილი პრობლემური ტენდენციების გათვალისწინებით, ერთიანად განიხილა.[35]

საქმეთა შესწავლის შედეგად, 2023 წლის 4 სექტემბერს, საქართველოს სახალხო დამცველმა სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მთავარ შრომის ინსპექტორთან არსებულ მრჩეველთა საბჭოს მიმართა, შეიმუშაოს კოლექტიური შრომითი უფლებების სათანადო დაცვისა და პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციისკენ მიმართული რეკომენდაციები, რომლებიც, მათ შორის, მოიცავს: *ა) სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის მხრიდან, დამსაქმებელთათვის კოლექტიური შრომითი უფლებების დაცვისა და პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციისგან თავისუფალი სამუშაო გარემოს ხელშემწყობი ინფორმაციის პროაქტიულ მიწოდებას; გ) კოლექტიური შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დარღვევებისა და პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციის პრევენციის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებას; გ) დასაქმების ადგილებზე ინსპექტირებისას, სტრატეგიულ მიმართულებად, პროფესიული კავშირისადმი კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე ზედამხედველობის განსაზღვრას.*[36]

ნიშანდობლივია ასევე, რომ განსხვავებული მოსაზრების ნიშნით დისკრიმინაციის საქმეზე, სახალხო დამცველმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ამიკუსი წარუდგინა შპს ფორმულაში

---

[35] *კერძოდ:* ა(ა)იპ „საქართველოს მედიცინის, ფარმაციის და სოციალური დაცვის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის“ განცხადება (მოპასუხე - სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“); მოქალაქე ნ.ნ.-ის წარმომადგენლის, თამილა გაბაიძის განცხადება (მოპასუხე - სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“); ა(ა)იპ „საქართველოს აგრარულ მეურნეობაში, ვაჭრობასა და მრეწველობაში დასაქმებულთა პროფესიული კავშირის“ (მოპასუხე - შპს „ევოლუშენ ჯორჯია“) და (მოპასუხე - შპს „საირმე მინერალ ვოთერსი“) განცხადებები.

[36] სახალხო დამცველის 2023 წლის 4 სექტემბრის ზოგადი წინადადება სსიპ შრომის ინსპექციის მრჩეველთა საბჭოს https://shorturl.at/hJNP2

დასაქმებული ოპერატორის საქმეზე.[37] განმცხადებელი მიუთითებდა, რომ განსხვავებული მოსაზრების ნიშნით დისკრიმინაციულ მოპყრობას დაექვემდებარა, ვინაიდან დისციპლინური სახდელების გამოყენებისა და გათავისუფლების წინაპირობა შრომის ანაზღაურების მატების თაობაზე შეხედულება და გაფიცვა აღმოჩნდა.

სასამართლო მეგობრის მოსაზრებით, სახალხო დამცველმა სასამართლოს წარუდგინა საქმისათვის რელევანტური, ადამიანის უფლებათა ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები, რომელთა გამოვლენა უმნიშვნელოვანესია განსხვავებული მოსაზრების ნიშნით დისკრიმინაციული პრაქტიკების აღმოსაფხვრელად და კოლექტიური შრომითი უფლებების რეალიზაციისთვის. სახალხო დამცველის შეფასებით, განსახილველ სასამართლო დავას, შესაძლოა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, ვინაიდან შრომის პირობებთან დაკავშირებით დასაქმებულთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებისა თუ მათი გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული კოლექტიური აქტივობების მიმართ დამსაქმებელთა უარყოფითი დამოკიდებულებები, შესაძლოა, სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის პროცესში მნიშვნელოვან საფრთხეებს უკავშირდებოდეს.

5.3. ასაკი, როგორც შრომითი ურთიერთობის ხელშემშლელი ფაქტორი

დისკრიმინაციასთან ბრძოლის პროცესში კვლავ გამოწვევად რჩება ასაკის ნიშნით დისკრიმინაცია. საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის პრაქტიკაში გამოიკვეთა შრომით ურთიერთობაში ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტი. კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში დასაქმებული პირი იმის მიუხედავად, რომ სამსახურებრივ ფუნქცია-მოვალეობებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებდა, ზღვრული ასაკის მიღწევის გამო დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. სახალხო დამცველმა მნიშვნელოვნად მიიჩნია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისთვის ამ საქმეზე სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae) წარედგინა.[38]

სახალხო დამცველმა სასამართლოს მიაწოდა შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში სავარაუდო დისკრიმინაციის გამოვლენის ტესტი/სტანდარტები, დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებში მტკიცების ტვირთის გადანაწილების წესი; ასევე, ასახა ასაკის ნიშნით *(ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ერთობლიობაში)* განსხვავებული მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებული საერთაშორისო ინსტიტუტების პრაქტიკა და განსხვავება ისეთ შემთხვევებს შორის, როდესაც ასეთი მოპყრობა, ერთი მხრივ, გამართლებულია, მეორე მხრივ კი - დისკრიმინაციას წარმოადგენს. საყურადღებოა, რომ სახალხო დამცველმა სასამართლოს ასევე მიაწოდა განსაკუთრებული და დროებითი ღონისძიებების გამოყენების სტანდარტების თაობაზე

[37] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 4 აგვისტოს სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae) თბილისის საქალაქო სასამართლოს https://ombudsman.ge/geo/sasamartlos-megobris-mosazrebebi/sakhalkho-damtsvelis-sasamartlos-megobris-mosazreba-shromit-urtiertobebshi-ganskhvavebuli-mosazrebis-nishnit-diskriminatsiis-sakmeze

[38] 2023 წლის 6 აპრილის სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება შრომით ურთიერთობებში ასაკის და ჯანმრთელობის მდგომარეობის ნიშნით დისკრიმინაციის საკითხზე, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/93441x

ინფორმაცია. და ბოლოს, სახალხო დამცველმა იმსჯელა, ასაკობრივი ზღვრის დაწესებით, სამუშაო ადგილზე რამდენადაა უზრუნველყოფილი ხანდაზმული მუშაკების პროფესიული ინტეგრაცია.

6. დისკრიმინაციული მოპყრობა სერვისისა და მომსახურებების სფეროში

მიმდინარე საანგარიშო წელს სერვისისა და მომსახურების მიღების სფეროში უთანასწორობა არაერთი მიმართულებით გამოიკვეთა. კერძოდ, სახალხო დამცველმა სამედიცინო და საგანანმანათლებლო სფეროში დისკრიმინაციული მოპყრობის შემთხვევები გამოავლინა.

ამასთანავე, საანგარიშო წლის დასაწყისში, სახალხო დამცველმა, სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების მიღებაზე საქართველოს მოქალაქეების წვდომის შეზღუდვის ფაქტთან დაკავშირებით 30-მდე შეტყობინება მიიღო. განსაკუთრებით პრობლემური იყო შემთხვევა, როდესაც, სავარაუდოდ, ე.წ. სამაკლერო საქმიანობით დაკავებულმა პირმა, ბათუმში, ბინის გაყიდვის თაობაზე რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ განცხადებაში მიუთითა, *რომ ბინა ქართველებზე არ გაიყიდებოდა.* სახალხო დამცველმა უძრავი ქონების აგენტებსა და მომსახურების გამწევ ორგანიზაციებს ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობისგან თავის შეკავებისკენ და საქმიანობისას თანასწორობის პრინციპის დაცვისკენ მოუწოდა.[39]

6.1. სამედიცინო სფერო

სახალხო დამცველს არაერთხელ უმსჯელია სამედიცინო დაწესებულებისა თუ ცალკეული ექიმის მხრიდან გამოვლენილ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებზე. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით არც 2023 წელი იყო გამონაკლისი. ერთ საქმეში სამედიცინო დაწესებულებამ მამას უარი უთხრა შვილის თავმდგმური ყოფილიყო. მამას ღამით ბავშვთან კლინიკაში დარჩენაზე იმ საფუძვლით ეთქვა უარი, რომ პალატაში მყოფ სხვა ბავშვების დედებს, შესაძლოა, თავი უხერხულად ეგრძნოთ. მსგავსი შინაარსის საქმე სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2015 წელს განიხილა და აღნიშნა, რომ მსგავსი სტერეოტიპული განწყობები კაცებს შვილის აღზრდაში თავიანთი წვლილის შეტანისა და მშობელზე დაკისრებული ტვირთის თანაბრად გადანაწილების შესაძლებლობას უზღუდავს. სახალხო დამცველმა კლინიკას რეკომენდაციით მიმართა თავდგომასთან დაკავშირებით, და თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებით თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფისა და თანასწორობის ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დისციპლინური ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდა.[40]

---

[39] განცხადება ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3va5Oza

[40] სახალხო დამცველის 2023 წლის 15 მარტის რეკომენდაცია „ლ.ჯ. და კომპანიას“ სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის შესახებ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3THFnel

სახალხო დამცველმა, ასევე იმსჯელა ორსული ქალისთვის ანტენატალური მომსახურების მიწოდების შეწყვეტის თაობაზე. ქალს სამედიცინო დაწესებულებამ სერვისის მიწოდებაზე უარი მისი მეუღლის მხრიდან სოციალურ ქსელში, კლინიკასთან დაკავშირებით, გამოქვეყნებული კრიტიკული პოსტის გამო უთხრა.[41] ქალთან საუბრისას, კლინიკის წარმომადგენელი უთითებდა კერძო კომპანიის შესაძლებლობაზე, თავად გადაეწყვიტა, თუ ვის გაუწევდა მომსახურებას. საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის პრაქტიკის გათვალისწინებით, კერძო სამართლის სუბიექტების მხრიდან, დისკრიმინაციული მოპყრობის გამომრიცხავ არგუმენტად კერძო ავტონომიაზე[42] მითითება, საკმაოდ ხშირია. გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი კერძო კომპანია/დაწესებულება, რომელიც სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში, მომხმარებლებს საჯაროდ ხელმისაწვდომ მომსახურებას სთავაზობს[43], ვალდებულია დაიცვას მართლზომიერების[44], კეთილსინდისიერებისა[45] და თანასწორი მოპყრობის პრინციპები.

6.2. განათლების სფერო

მიმდინარე საანგარიშო წელს, სახალხო დამცველმა პირველად იმსჯელა სტუდენტის გამოხატვის თავისუფლების საკითხზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სტუდენტს სტატუსი სოციალურ ქსელში, უნივერსიტეტში არსებულ გარემოსთან დაკავშირებით, კრიტიკული პოსტის გამოქვეყნების გამო შეუწყვიტა. უნივერსიტეტის ეთიკის კომისიამ სტუდენტის ქცევა შეაფასა პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტის წარმოშობისა და გაღვივებისკენ მიმართულ ქმედებად და არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებად უნივერსიტეტის სახელის, პრესტიჟის, სიმბოლიკისა და საქმიანი რეპუტაციის მიმართ.

სახალხო დამცველმა იმსჯელა, სცდებოდა თუ არა სტუდენტის მიერ საჯაროდ გამოქვეყნებული პოსტის შინაარსი გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და რეალურად, ჰქონდა თუ არა საფუძველი დისციპლინური ღონისძიების გამოყენებას. ასევე, დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენებისას დაცული იყო თუ არა პროპორციულობის პრინციპი. სახალხო დამცველის შეფასებით, სტუდენტს, თავისი მოსაზრების საჯაროდ გავრცელებით არ დაურღვევია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების სტანდარტები, რის გამოც, უნივერსიტეტს

[41] პოსტის გამოქვეყნების შემდგომ, ქმარს კლინიკის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ და პოსტის წაშლა და ბოდიშის საჯაროდ მოხდა სთხოვეს, რაზეც მან უარი განაცხადა.

[42] სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს კერძო ავტონომიის პრინციპი წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს პირის თავისუფლებას, აირჩიოს კონტრაჰენტი და დაამყაროს საერთო სურვილებისა და მოლოდინების შესაბამისი ურთიერთობა. საქართველოს კანონი, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, მუხლი 319.

[43] საქართველოს კანონი, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 2, პუნქტი 10, ქვეპუნქტი „გ.დ“.

[44] საქართველოს კანონი, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, მუხლი 115.

[45] საქართველოს კანონი, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“, მუხლი 8, ნაწილი 3.

რეკომენდაციით მიმართა და სამომავლოდ მსგავსი შემთხვევების თავიდან არიდებისა და საქმიანობის თანასწორობის პრინციპის დაცვით წარმართვისკენ მოუწოდა.[46]

პრობლემები იკვეთება მსჯავრდებულთა მხრიდან უმაღლესი განათლების მიღების საფასურის დაფინანსების მიმართულებითაც. სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, მართალია, მოქმედებს სოციალური პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მსჯავრდებულ სტუდენტებს რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, უმაღლესი განათლების მიღების საფასური უფინანსდებათ. თუმცა ეს პროგრამა მხოლოდ ციფრული სწავლების ფორმატში ჩართულ სტუდენტ მსჯავრდებულებზე ვრცელდება და კორესპონდენციული სწავლების ფორმით მოსარგებლე მსჯავრდებულ სტუდენტებს პროგრამის მიღმა ტოვებს. მიუხედავად იმისა, რომ მიღებულია ახალი პენიტენციური კოდექსი, რომელიც არსებითად აუმჯობესებს მსჯავრდებულთა წვდომას განათლების უფლებაზე, იუსტიციის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით[47], კორესპონდენციულ სწავლებაში ჩართული მსჯავრდებული სტუდენტებისათვის უმაღლესი განათლების მიღების სწავლის საფასურის დაფინანსების მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა არ იგეგმება.

7. დისკრიმინაციის წახალისება

საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჰომო/ტრანსფობიური განცხადებების გაკეთება, სიძულვილის ენის გამოყენება და მედიაში დისკრიმინაციის წახალისება, კვლავ არსებითი გამოწვევაა. საზოგადოებაში მყარად არის გამჯდარი სტიგმისა და სტერეოტიპების შემცველი დამოკიდებულებები ქალების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ლგბტ+ თემის წევრების მიმართ. შესაბამისად, სექსისტური, ჰომო/ტრანსფობიური თუ სხვა ნიშნით დისკრიმინაციის წამახალისებელი საჯარო გამოხატვა კიდევ უფრო მეტად აძლიერებს უარყოფით დამოკიდებულებებს დაუცველი ჯგუფების მიმართ, რის წინააღმდეგაც ბრძოლა საზოგადოების თითოეული წევრის პასუხისმგებლობაა.

შესაბამისად, სახალხო დამცველი, განსაკუთრებით საჯარო პირებს, დამსაქმებლებს, და ჟურნალისტებს/მედიის წარმომადგენლებს მოუწოდებს, არ დაუშვან დისკრიმინაციული გამონათქვამების გავრცელება და განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ საკუთარ როლს საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპებისა და სტიგმის დაძლევასა და ქვეყანაში თანასწორობის იდეის დამკვიდრების ხელშეწყობაში.

---

[46] საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის 7 სექტემბრის რეკომენდაცია შპს „საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს (სეუს)“, განსხვავებული მოსაზრების გამოხატვის ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/41HiwS5

[47] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის 9 ოქტომბრის №11389 კორესპონდენცია; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის 21 დეკემბრის №14400 კორესპონდენცია.

მაგალითად, გასულ წელს სახალხო დამცველის პრაქტიკაში გამოიკვეთა სამედიცინო დაწესებულებაში სერვისის მიმღები პირის მიმართ დისკრიმინაციის წამახალისებელი, კერძოდ, ჰომოფობიური დამოკიდებულება. სახალხო დამცველი უარყოფითად აფასებს ამგვარ დამოკიდებულებას და, ზოგადად, სამედიცინო დაწესებულებებს ადმინისტრაციული პერსონალისა და ექიმების თანასწორობის საკითხებზე გადამზადებისკენ მოუწოდებს.[48]

ამავე პერიოდში პრობლემური იყო საჯარო/პოლიტიკურ/საზოგადოებრივ სფეროში ჩართული ქალების მიმართ სექსისტური შინაარსის და დისკრიმინაციის გამაძლიერებელი განცხადებები/გამონათქვამები.[49] სახალხო დამცველი გმობს საზოგადოებრივად და სოციალურად აქტიურ ქალთა მიმართ სექსისტურ დამოკიდებულებასა და დისკრიმინაციის წამახალისებელ გამონათქვამებს, რაც ლახავს ადამიანის პატივსა და ღირსებას, აკნინებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობას და აძლიერებს ქალის როლთან დაკავშირებით საზოგადოებაში დამკვიდრებულ არასწორ და დამამცირებელ სტერეოტიპებს. მაშინ, როცა საქართველოში ქალთა დაბალი პოლიტიკური მონაწილეობა ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება, ასეთი ქმედებები მტრულ გარემოს ქმნის ქალი პოლიტიკოსებისთვის და, ზოგადად, ამძიმებს პოლიტიკურ გარემოს.

უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტის თანახმად, „საქართველოს პარლამენტის წევრისთვის დაუშვებელია სხვისი ღირსების შემლახველი, უხამსი, სექსისტური, დისკრიმინაციული გამოსვლა, მიმართვა, მოქმედება და სიძულვილის ენის სხვაგვარი გამოყენება“. თუმცა საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი არ ითვალისწინებს ეფექტიან და ქმედით მექანიზმებს პარლამენტის წევრების მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებში. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, საქართველოს პარლამენტის ეთიკის საბჭოს თანათავმჯდომარეები არჩეულები არ არიან. შესაბამისად, საბჭოს ფორმატით ეს საკითხები ვერ განიხილება.[50]

ზემოაღნიშნულის გარდა, საქართველოს სახალხო დამცველისთვის, მედიასაშუალებებში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, ცნობილი გახდა ვიდეოს შესახებ, რომელიც პოლიტიკური პარტია „ტრიბუნის“ წევრმა, ლაშა არსენიძემ სოციალურ ქსელში გაავრცელა. ვიდეოში იგი კონკრეტული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს უცენზურო სიტყვებით მიმართავს[51], რაც სახალხო დამცველის შეფასებით, ამ კონკრეტული ჯგუფის მიმართ სტერეოტიპულ და დისკრიმინაციულ დამოკიდებულებებს ახალისებს.

---

[48] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული საქმე №N10764/23.

[49] ირაკლი ბერაია თეონა აქუბარდიას: *„მისნაირებთან და ვიღაც-ვიღაცებთან სელფების გადაღებისა და გაფეისბუქების საშუალება, აეროპორტის ლაუნჯებში შესვლის, იქ გასკდომისა და გამოთრობის საშუალება და გაშხლართვის. ვინც მას იცნობს, ძალიან კარგად მიხვდება, მე რაზე ვსაუბრობ. და შესაბამისად, მოვუწოდებ ამ ადამიანს, მისი გრძელი და ყველგან ნამყოფი ენით, ჩემი და ჩემი კომიტეტის სახელის ხსენებისგან თავი შეიკავოს“.* 2023 წლის 31 ოქტომბერი. ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=zyb7RiCYptM

[50] სახალხო დამცველი ამ პრობლემაზე წინა წლებშიც, მათ შორის, 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც მიუთითებდა. იხ. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2022 წელი, გვ. 152-153. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/41DVAmU

[51] ვიდეო ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/fhAF4 [ბოლოს ნანახია: 28.12.2023].

8. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება

გასული წლის მსგავსად, აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში კვლავ იკვეთება გამოწვევები სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიმართულებით. ამისი მიზეზია, ერთი მხრივ, მოწყვლადი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის დაცვის კუთხით სამართალდამცავთა პოზიტიური ვალდებულებების არასათანადო შესრულება, ხოლო, მეორე მხრივ, ულტრამემარჯვენე რადიკალური ძალადობრივი ჯგუფებისა და მათი ლიდერების მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე არაეფექტიანი რეაგირება. სახალხო დამცველისთვის წარმოდგენილ განცხადებებში განმცხადებლები კვლავ მიუთითებდნენ სამართალდამცავთა მიმართ ნდობის ნაკლებობაზე, ასევე, მათი მხრიდან დისკრიმინაციის წამახალისებელი ტერმინოლოგიისა და ჰომოფობიური დამოკიდებულებებისა თუ განწყობების გამოხატვის პრაქტიკაზე.

2023 წლის 4 ოქტომბერს, სამოქალაქო აქტივისტის, სამირა ბაირამოვას საცხოვრებელი ბინის კარზე უცნობმა პირებმა ქრისტიანული რელიგიის სიმბოლო - ჯვარი და რუსეთის დროშა დახატეს.[52] ამ შემთხვევას სპეციალური საგამოძიებო სამსახური სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე იძიებს.[53] სამირა ბაირამოვა დაზარალებულად ჯერ კიდევ არ უცნიათ, არც კონკრეტული პირის მიმართ წარუდგენიათ ბრალი ამ ეტაპისთვის.[54]

ლგბტ+ პირების მიმართ, სავარაუდო შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები, მიმდინარე წელსაც, ძირითადად, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის, ცემისა და სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტებს შეეხებოდა. სახალხო დამცველის წარმოებაში არსებულ ერთ-ერთ საქმეში[55], ტრანსგენდერმა ქალმა სამართალდამცავ უწყებასთან სამომავლო თანამშრომლობაზე უარი იმ საფუძვლით განაცხადა, რომ მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებისას, გამომძიებელი მის მიმართ შეურაცხმყოფელი და ტრანსფობიური განცხადებებით გამოირჩეოდა. ამასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ აპარატს აცნობა, რომ მითითებული საკითხი გენერალურმა ინსპექციამ შეისწავლა, თუმცა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურებულა.[56] თავად განმცხადებლის მიმართ ძალადობის ჩადენის ფაქტზე გამოძიება ძალადობის მუხლით (სსკ-ის 126.1)[57] დაიწყო.

---

[52] ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3RYZ6F9

[53] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 28 დეკემბრის წერილი SIS 7 23 00024232.

[54] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 16 იანვრის წერილი №13/2244.

[55] სახალხო დამცველის აპარატში 2023 წლის 24 ივლისს წარმოდგენილი განცხადების №8557/23 თანახმად, ტრანსგენდერ ქალს თავს მისთვის უცნობი პირი დაესხა, ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა.

[56] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 23 აგვისტოს კორესპონდენცია MIA 1 23 02462566.

[57] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 9 იანვრის წერილი MIA 8 24 00056060.

განმცხადებელს დაზარალებულის სტატუსი არ მინიჭებია.[58] კიდევ ერთ საქმეში[59] განმცხადებლები განმარტავდნენ, რომ შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა, განმცხადებლის მობილურ ტელეფონში შენახული ვიდეოჩანაწერი, რომელზეც აღბეჭდილი იყო თავდასხმის ფაქტი და თავდამსხმელების ვინაობა, მტკიცებულების სახით არ ამოიღეს. ვიდეოში, ასევე ჩანდა, თუ როგორ განარიდებდა საპატრულო პოლიციის თანამშრომელი თავდამსხმელ პირებს. ამის საპირისპიროდ, განმცხადებლებს განემარტათ, რომ თავდამსხმელები გაიქცნენ და მათი ამოცნობა ვერ მოხერხდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატს საგამოძიებო ორგანოებიდან ეცნობა, რომ გამოძიება ფიზიკური ძალადობის[60] ფაქტზე მიმდინარეობს.[61] სასამართლო განჩინების საფუძველზე, სავარაუდო დანაშაულის ჩამდენ პირთა გამოვლენის მიზნით, განმცხადებლის მობილური ტელეფონიდან ამოღებულია ვიდეომასალა[62], თუმცა კონკრეტული პირი ჯერაც არ არის ამოცნობილი და არც სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულა.[63] განმცხადებლებს მინიჭებული აქვთ დაზარალებულის სტატუსი.[64] ამ საქმეთაგან არცერთში შეუწყნარებლობის მოტივი გამოკვეთილი არ არის.

საანგარიშო პერიოდში ასევე გამოვლინდა სტენდთან მდგომი იეჰოვას მოწმეების მიმართ აგრესიის გამოხატვისა და თავდასხმის შემთხვევები. ერთ-ერთი მსგავსი ფაქტის შესახებ სახალხო დამცველის აპარატისთვის მედიით გავრცელებული ინფორმაციით[65] გახდა ცნობილი. ქალაქ გორში, წმინდაწყლის დასახლებაში, სტენდთან მდგომ იეჰოვას მოწმეებს აგრესიულად განწყობილმა კაცმა ტერიტორიის დატოვებისკენ მოუწოდა, რის შემდგომაც რელიგიური ნივთები გზაზე გადაყარა და ერთ-ერთ წევრს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. გამოძიება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დაიწყო.[66] სტენდთან მდგომ იეჰოვას მოწმეებზე თავდასხმის ფაქტს ადგილი ჰქონდა ქალაქ თბილისშიც, „გალერია თბილისის“ მიმდებარე ტერიტორიაზე.[67] გარდა თავდასხმის ფაქტისა, სახალხო დამცველისთვის წარმოდგენილ განცხადებაში იეჰოვას მოწმეები პოლიციის

---

[58] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 16 იანვრის წერილი №13/2244.

[59] სახალხო დამცველის აპარატში 2023 წლის 12 ივლისს წარმოდგენილი განცხადების №8141/23 თანახმად, 2023 წლის 3 ივნისს, ღამის საათებში ქ. თბილისში, ვაშლოვანის ქუჩა №8-ის მიმდებარედ, ჰომოფობიურ ნიადაგზე, განმცხადებლებს, სხვა ადამიანების თანდასწრებით, თავს დაესხნენ.

[60] სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით.

[61] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 31 აგვისტოს წერილი MIA 6 23 02540186 და 2024 წლის 9 იანვრის წერილი MIA 8 24 00056060.

[62] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 31 აგვისტოს წერილი MIA 6 23 02540186.

[63] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 16 იანვრის წერილი №13/2244.

[64] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 15 აგვისტოს წერილი №13/56288 და 2024 წლის 16 იანვრის წერილი №13/2244.

[65] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3EnNiF1

[66] ამ საქმეზე იეჰოვას მოწმეებს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭათ, ხოლო ბრალდებულის სახით დაკავებულ პირს ბრალი მრწამსის გამო და რელიგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით განხორციელებული დევნისთვის წარედგინა. 2023 წლის 13 ოქტომბერს, სისხლის სამართლის საქმე განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაიგზავნა. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 28 დეკემბრის წერილი SIS 7 23 00024232; საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 16 იანვრის წერილი №13/2244.

[67] 2023 წლის 7 სექტემბრის განცხადება №10835/23.

თანამშრომლების ქცევაზეც მიუთითებდნენ. მათი განმარტებით, გამოკითხვის პროცესში, პოლიციის თანამშრომლები ცდილობდნენ, გამოკითხვის ოქმში მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი ჩაეწერათ, რამდენადაც ფიზიკური ძალადობის მითითების შემთხვევაში, საქმეზე სისხლის სამართლის გამოძიება უნდა დაწყებულიყო.[68] საქმის შესწავლას ქვემდებარეობით სპეციალური საგამოძიებო სამსახური განაგრძობს[69], იეჰოვას მოწმეები დაზარალებულად ჯერ არ უცნიათ, არც კონკრეტული პირისთვის წარუდგენიათ ბრალი.[70]

კვალიფიკაციასთან დაკავშირებით სავარაუდო ხარვეზი გამოიკვეთა მიხეილ მშვილდაძის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტზე დაწყებული გამოძიების ჭრილში.[71] 2023 წლის 27 ივნისს მიხეილ მშვილდაძეს თავს დაესხა მისთვის უცნობი პირი, რომელმაც დაარტყა არაერთხელ, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი. ფაქტზე გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო, რომელიც ცემას ან სხვაგვარ ძალადობას გულისხმობს. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პროკურატურამ, რომელმაც საქმეზე კვალიფიკაცია არ შეცვალა, **სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა სავარაუდო დანაშაულის დისკრიმინაციული მოტივი.** სახალხო დამცველის პოზიციით, ცემა და ძალადობა, რომელიც მოტივირებულია კონკრეტული პირის მხრიდან გამოხატული აზრისა თუ შეხედულების მიუღებლობითა და სიძულვილით, დაკვალიფიცირებული უნდა იყოს სპეციალური მუხლით, კერძოდ, ფიზიკური ძალადობით განხორციელებულ დევნად, გამოხატული აზრის გამო.[72] სწორედ ამგვარი ქმედება კრიმინალიზებულია სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით, რომელიც არამხოლოდ ადამიანის ჯანმრთელობისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის, არამედ, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია.

იდენტური პრობლემა შეიძლება დასახელდეს ზურაბ გირჩი ჯაფარიძის მიმართ 2023 წლის 17 ივნისს განხორციელებული ძალადობის შემთხვევაზეც[73]. ზურაბ გირჩი ჯაფარიძეც, აგრეთვე, სავარაუდოდ, ძალადობის მსხვერპლი გახდა მისი გამოხატული პოზიციისა და პოლიტიკური მოსაზრებების, აფილირების გამო. მოცემულ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო. თუმცა, მოცემულ შემთხვევაშიც, სავარაუდოდ, საფუძველი არსებობდა გამოძიების სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილით გაგრძელების, გამოხატული აზრის გამო დევნის ფაქტზე. როდესაც გამოძიებისათვის ცნობილი გახდა ზურაბ გირჩი ჯაფარიძეზე განხორციელებული თავდასხმის სავარაუდოდ გამოხატული მოტივი, ეს სისხლის სამართლის საქმეც შემდგომი გამოძიებისათვის,

---

[68] შინაგან საქმეთა სამინისტროს სახალხო დამცველის აპარატისთვის არ უცნობებია, შეისწავლა თუ არა გენერალურმა ინსპექციამ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან შესაძლო გადაცდომის ჩადენის საკითხი. სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 14 სექტემბრის წერილი №13-1/9255; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 6 ოქტომბრის წერილი MIA 1 23 02931772 და 2024 წლის 9 იანვრის წერილი MIA 8 24 00056060.

[69] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2024 წლის 9 იანვრის წერილი MIA 8 24 00056060.

[70] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 16 იანვრის წერილი №13/2244.

[71] სისხლის სამართლის საქმის მასალები სრულად შეისწავლა სახალხო დამცველის აპარატმა.

[72] სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

[73] სისხლის სამართლის საქმის მასალები სრულად შეისწავლა სახალხო დამცველის აპარატმა.

სისხლისსამართლებრივი განსჯადობის შესაბამისად, გენერალურ პროკურატურას **სპეციალური საგამოძიებო სამსახურისათვის უნდა გადაეცა და გამოძიება სპეციალური კვალიფიკაციით გაგრძელებულიყო.**

საჭიროა, ერთგვაროვან საქმეებზე ჩამოყალიბდეს თანმიმდევრული პრაქტიკა, სადაც სამართლებრივი შეფასების გარეშე არ დარჩება პირის დევნა ამა თუ იმ ნიშნის გამო და მკაფიოდ გამოიხატება სახელმწიფოს ნება, დისკრიმინაციის შემცველ დანაშაულებრივ ქმედებებთან გამკლავების პროცესში, ვინაიდან მოცემულ შემთხვევებში კვალიფიკაცია არ წარმოადგენს მხოლოდ ფორმალობას, არამედ, მას დიდი მნიშვნელობა აქვს პირის შელახული ღირსების აღდგენის საკითხში.[74]

ზემოაღნიშნული საქმეების შესახებ მოპოვებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებასა და დევნის დაწყებასთან დაკავშირებით, გამოძიების მიერ შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთა ერთ-ერთ გამოწვევად გვევლინება. იმის გათვალისწინებით, რომ დანაშაულის გამოძიებისას შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთასა და სწორ კვალიფიკაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე მართლმსაჯულების აღსასრულებლად, არამედ, მომავალში მსგავსი დანაშაულების თავიდან ასარიდებლად, სამართალდამცავი უწყებების მიმართ უნდობლობის დასაძლევად და სტატისტიკური მონაცემების სწორად დასამუშავებლად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა ამ მიმართულებით კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ ძალისხმევა.

9. თანასწორობის უფლების დაცვის მიმართულებით სახალხო დამცველის საქმიანობა

2023 წელს სახალხო დამცველი კვლავ აქტიურად შეისწავლიდა სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებს და საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა თანასწორობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად.

9.1. ინდივიდუალური საქმეების შესწავლა

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა სავარაუდო დისკრიმინაციის 122 ფაქტი შეისწავლა, რომელთაგან ყველაზე მეტი - 17% **სქესის/გენდერის** ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევას შეეხებოდა, 16% - **განსხვავებული მოსაზრების** ნიშნით დისკრიმინაციაზე დავობდა, 8% - **ეროვნების/მოქალაქეობის** ნიშნით, 7% კი - **შეზღუდული შესაძლებლობის** ნიშნით მიიჩნევდა თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად. 6% - **პოლიტიკური შეხედულების** ნიშნით, 5% კი - **რელიგიის ნიშნით** დისკრიმინაციულ მოპყრობაზე დავობდა. **ასაკის**, **სექსუალური**

[74] „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში“.

ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევაზე განმცხადებელთა 4 – 4% მიუთითებდა, ხოლო, 2% შემთხვევაში განმცხადებლებმა **პროფესიული კავშირის** კუთვნილების ნიშანზე მიუთითეს. **სხვა ნიშნების** საფუძველზე დისკრიმინაციული მოპყრობა ამ საანგარიშო პერიოდშიც აქტუალური იყო და განცხადებების ყველაზე მეტი - 31% შეადგინა.

რაც შეეხება წარმომადგენლობას, განმცხადებლების 23% სახალხო დამცველის აპარატში საქმეს წარმომადგენლის მეშვეობით აწარმოებდა, რომელთაგან 5% „კოალიცია თანასწორობისთვის“[75] წევრი ორგანიზაციები იყვნენ. განმცხადებლების უმრავლესობა - 77% სახალხო დამცველს წარმომადგენლის გარეშე მომართავდა. საანგარიშო პერიოდში, გასული წლების მსგავსად, განცხადებების უმეტესობა - 59% საჯარო უწყებებში ჩადენილ სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტებს შეეხებოდა, განცხადებების 41%-ში კი კერძო სექტორში მომხდარ უთანასწორო მოპყრობაზე მიუთითებდნენ.

მოპასუხეები სფეროების მიხედვით



[75]„კოალიცია თანასწორობისთვის“ წევრები არიან: საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი (OSFG); სოციალური სამართლიანობის ცენტრი; უფლებები საქართველო; კავშირი „საფარი“; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA); ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG); პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR); საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI); ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI); ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC); თანასწორობის მოძრაობა.

2023 წელს სახალხო დამცველმა თანასწორობის საკითხებზე 5 რეკომენდაცია, 2 ზოგადი წინადადება და 3 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მოამზადა. 6 საქმესთან მიმართებით, მიუხედავად იმისა, რომ დისკრიმინაციული მოპყრობა ვერ დადგინდა, ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა საჭიროდ ჩათვალა მოპასუხეებისთვის თანასწორობის უფლებასთან დაკავშირებული რიგი საკითხები განემარტა.

9.2. საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობა

თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლები 2023 წელსაც აქტიურად განაგრძობდნენ თანასწორობის უფლებისა და ამ მიმართულებით სახალხო დამცველის მანდატის თაობაზე საინფორმაციო-საგანმანათლებლო საქმიანობას. ასევე, როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს სახალხო დამცველმა, ფონდ „ღია საზოგადოების“ მხარდაჭერით, თანასწორობის შესახებ ელექტრონული კურსი მოამზადა, რომელიც ძირითადად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლების საჭიროებებზეა მორგებული, თუმცა მისი გავლა ნებისმიერ მსურველს შეუძლია. კურსის მიზანია ცნობიერების ამაღლება თანასწორობის უფლებისა და დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში არჩეული თუ დასაქმებული პირებისთვის თანასწორობის არსის აღქმაში, დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის პროაქტიულ გამოვლენაში, აღმოფხვრასა და პრევენციაში დახმარება.[76] ელექტრონული კურსი სახალხო დამცველის ვებგვერდზე 2023 წლის თებერვლიდან არის ხელმისაწვდომი და 2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, კურსზე 980 პირი დარეგისტრირდა[77], რომელთაგან 547-მა მსმენელმა კურსის წარმატებით გავლის შედეგად, ელექტრონული სერტიფიკატი მიიღო. USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით კი, სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასზე რეაგირების სამთვიანი კამპანია დაიწყო.[78]

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მასშტაბით, ჯამში **72 საინფორმაციო შეხვედრა/ტრენინგი** ჩატარდა და **1633 ადამიანს** თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით ცოდნა აუმაღლდა. მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო შეხვედრებისას განსაკუთრებული აქცენტი, სხვა საკითხებთან ერთად, სექსუალური შევიწროების არსზე, მისი პრევენციის მნიშვნელობასა და შიდა რეაგირების მექანიზმის შემუშავების აუცილებლობაზე კეთდებოდა.

საინფორმაციო შეხვედრების უმრავლესობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარდა. შეხვედრები გაიმართა **4 რეგიონის** (აჭარა, გურია, სამეგრელო, იმერეთი) **26 მუნიციპალიტეტში.**[79] სექსუალური შევიწროების პრევენციისა და დისკრიმინაციის წახალისების საკითხებზე, დეტალური ინფორმაცია მიეწოდათ და ცნობიერება აუმაღლდათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ 659 საჯარო მოხელესა და 497 სამოქალაქო

[76] ელექტრონული კურსი ხელმისაწვდომია https://rb.gy/j438gv

[77] სტატისტიკური ინფორმაციის გათვალისწინებით, კურსზე დარეგისტრირებული 980 პირიდან, 691 საჯარო მოხელეა, ხოლო 289 - კერძო სექტორის წარმომადგენელი. სქესის მიხედვით დაყოფა შემდეგნაირია: ქალი - 727, კაცი - 252, სხვა - 1. ასაკობრივი კატეგორია: 18 წლამდე - 6, 18-24 წლამდე ასაკობრივი კატეგორია - 86, 25-44 წლამდე ასაკობრივი კატეგორია - 541, 45-60 ასაკობრივი კატეგორია - 283, ხოლო 60 და მეტი წლის ზემოთ - 62.

[78] დამატებით იხ. შესავალი.

[79] ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3RYdk9e

განათლების პედაგოგს. ამავე რეგიონებში, თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა შეხვედრები გამართეს დამსაქმებლებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და ლგბტ+ თემის წევრებთან. შეხვედრებმა სახალხო დამცველის წარმომადგენლებს თანასწორობის უფლების რეალიზაციის მხრივ, ადგილზე არსებული მდგომარეობის უკეთ გაცნობის შესაძლებლობაც მისცა.

საგულისხმოა, რომ მიმდინარე საანგარიშო პერიოდში კერძო სექტორის წარმომადგენლები სახალხო დამცველთან თანამშრომლობის სურვილს კვლავ აქტიურად გამოხატავდნენ. „ეიპიემ ტერმინალს ფოთის“ ინიციატივით, დეპარტამენტის თანამშრომლებმა კომპანიაში დასაქმებულებს შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის საკითხებზე და სახალხო დამცველის პრაქტიკაზე ინფორმაცია მიაწოდეს. მსგავსი შინაარსის საინფორმაციო შეხვედრა „საქართველოს ბანკის“ ადამიანური რესურსების მართვის მიმართულების თანამშრომლებთანაც გაიმართა.[80] სახალხო დამცველი მიესალმება კერძო კომპანიების ინიციატივებსა და მზაობას, აქტიურად ჩაერთონ თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით ცოდნის გაღრმავებისკენ მიმართულ აქტივობებში.

საყურადღებოა, რომ სახალხო დამცველის აპარატის თანასწორობის დეპარტამენტის ჩართულობით, სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში ჩართული 80-ზე მეტი რეცენზენტი დატრენინგდა.[81] დისკრიმინაციისგან დაცვის კუთხით ქვეყანაში არსებულ სტანდარტებზე, შრომით ურთიერთობებში თანასწორი მოპყრობის, დისკრიმინაციის წახალისებისა და სექსუალური შევიწროების საკითხებზე, ტრენინგები, ასევე ჩაუტარდათ სუპერმარკეტების წარმომადგენლებსა[82] და ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის თანამშრომლებს.[83]სახალხო დამცველის აპარატი უკვე მეოთხედ ჩაერთო „თანასწორობის კვირეულში“, რომელიც ყოველწლიურად, ევროპის საბჭოს ინიციატივით იმართება. კვირეულის ფარგლებში, შეხვედრები გაიმართა სამეგრელო ზემო-სვანეთის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებთან[84] და სტუდენტებთან აჭარაში.[85]

საერთო ჯამში, 2023 წლის განმავლობაში, თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 699 თანამშრომელს, საგანმანათლებლო სფეროს 581 წარმომადგენელს, ლგბტ+ თემის 32 წევრს, 106 ახალგაზრდას, სამოქალაქო საზოგადოების 61 და კერძო კომპანიების 154 წარმომადგენელს შეხვდნენ. შეხვედრის მონაწილეთა ჯამურმა ოდენობამ - 1633 შეადგინა.

დასკვნა

თანასწორობის პრინციპის უნივერსალურობა, როგორც საერთაშორისო საზოგადოების, ისე საქართველოს სახელმწიფოს მიერ აღიარებული კონცეფციაა, რომელიც ემსახურება ნებისმიერი

[80] ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3TH9DGm
[81] ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3RWA21I
[82] ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3H054iU
[83] ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3TGNVlH
[84] ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3NJ2tO3
[85] ხელმისაწვდომია: https://bit.ly/484RGWB

ნიშნით ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრას, რისთვისაც სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ თანასწორობის იდეის პრაქტიკაში განხორციელება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ამ მოთხოვნის შესრულების ვალდებულება კი თანაბრად ვრცელდება როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიულ პირებსა და ფიზიკურ პირებზე.

საქართველოს კანონმდებლობაში გატარებული არაერთი პოზიტიური ცვლილების მიუხედავად, ცალკეული დაუცველი ჯგუფების მხრიდან თანასწორუფლებიანობის მიღწევა კვლავ პრობლემურია, რასაც განაპირობებს სახელმწიფოს მიერ თანასწორობის უზრუნველსაყოფად გადადგმული ნაბიჯების ფრაგმენტულობა და, რეალურად, ინსტიტუციურ დონეზე, დისკრიმინაციის აკრძალვის მნიშვნელობის სათანადოდ გაუაზრებლობა.

ყოველწლიურად, ლგბტ+ თემის მიმართ ჩადენილ სამართალდარღვევებზე არაეფექტიანი რეაგირება, სამედიცინო და სხვა სერვისების მიწოდებისას ქალების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებების გაუთვალისწინებლობა, განათლების სისტემაში თანასწორობის პრინციპის შესახებ ინფორმაციის არასათანადო რეალიზება, შრომით ურთიერთობაში სექსუალური შევიწროება და დასაქმებულების დისკრიმინაცია, თუ ოფიციალური პირების მიერ დისკრიმინაციის ხელშემწყობი სტერეოტიპების და სტიგმების გავრცელება თანასწორობის მიღწევის რეალურ პროცესს აფერხებს, რაც, საბოლოო ჯამში, სურათს, წლიდან წლამდე არ ცვლის.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის პროცესში არა მხოლოდ სახელმწიფოს აქვს განუზომელი პასუხისმგებლობა, არამედ უმნიშვნელოვანესია საზოგადოების, სამოქალაქო სექტორის, კერძო სექტორის და თითოეული მოქალაქის როლი. სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ 2024 წელს საქართველოში თანასწორობის მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ, ვითარება არსებითად შეიცვლება და მის მიერ გაცემული რეკომენდაციებისა თუ ზოგადი წინადადებების ეფექტიანად აღსასრულებლად მოპასუხეები შესაბამის ღონისძიებებს გაატარებენ.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- უზრუნველყოს ეთიკის კოდექსის პრაქტიკაში რეალური შესრულება ქმედითი მექანიზმის ფარგლებში და პარლამენტის წევრების მხრიდან დისკრიმინაციის წამახალისებელი ენის გამოყენების შემთხვევაში, გაატაროს ეთიკის კოდექსით დადგენილი დისციპლინური სანქციები.

საქართველოს მთავრობას:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შენობა/ნაგებობებზე და ინფრასტრუქტურაზე ფიზიკური წვდომის უზრუნველსაყოფად დროულად შეიმუშაოს მისაწვდომობის ეროვნული გეგმა, ხოლო ინფორმაციასა და საკომუნიკაციო საშუალებებზე შესაბამისი სტანდარტები.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- უზრუნველყოს საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების შესახებ კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულება და სექსუალური შევიწროების საქმეებზე დროული, ეფექტიანი და სრულყოფილი რეაგირება მოახდინოს;
- უზრუნველყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ინტენსიური და განგრძობადი გადამზადება საჯარო სივრცეში სექსუალური შევიწროების საკითხებზე.

საქართველოს პროკურატურას:

- უზრუნველყოს შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების კუთხით კვალიფიკაციის ასამაღლებლად თანამშრომელთა განგრძობადი გადამზადება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს:

- შეიმუშაოს ცვლილებების პროექტი, რომელიც შესაძლებელს გახდის „მსჯავრდებულის მიერ აკადემიური უმაღლესი განათლების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ 2022 წლის 6 სექტემბრის ბრძანებით №864-№100/ნ გათვალისწინებული სოციალური პროგრამის მოქმედების კორესპონდენციულ სწავლებაში ჩართულ სტუდენტ მსჯავრდებულებზე გავრცელებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- არაქართულენოვანი სკოლის/სექტორის მასწავლებლების პროფესიული განვითარების სქემის გადასახედად და მათი სპეციფიკური საჭიროებების გამოსავლენად, რელევანტურ სსიპ-ებთან კოორდინირებული თანამშრომლობით, დაგეგმოს შესაბამისი აქტივობები, რაც არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მასწავლებლებს მისცემს სტატუსების დროულად და ეფექტიანად შეცვლის შესაძლებლობას;
- უზრუნველყოს სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის პოპულარიზაცია და გააფართოოს ამ პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალი, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა ტერიტორიულ ერთეულში და დანერგოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი უფროსი თაობის საჭიროებებზე მორგებული სწავლების კომპონენტები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ფიზიკური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ხელშესაწყობად, სკოლის მასწავლებლებს მიაწოდონ ინფორმაცია/გადაამზადონ სწავლების მიდგომებისა და სტრატეგიების ფსიქოლოგიური ასპექტების შესახებ.

დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ

2023 წლის სპეციალური ანგარიში